„ერთი ხუთიდან“ კამპანიის გზამკვლევი - ინსტრუქცია

„ერთი ხუთიდან“ კამპანიის გზამკვლევი მოიცავს სხვადასხვა საკითხს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეული წარმომადგენლებისათვის, გაერთიანებებისა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის, ასევე სხვა ორგანიზაციებისათვის, რათა დაეხმაროს მათ **ევროპის საბჭოს „ერთი ხუთიდან“ კამპანიაში** ჩასართველად და **ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად პაქტის დასაცავად.**

პოსტერი

სასურველია, რომ „ერთი ხუთიდან“ კამპანიისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად პაქტის მონაწილეებმა გაავრცელონ პოსტერები, რომელზეც დატანილი იქნება პირადი ინფორმაცია (ვებ გვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, ლოგო და სხვ.). ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებს შორის: [X] და [Logo].

საინფორმაციო დოკუმენტები

- ლიფლეტი (A4 ფორმატი), რომელშიც წარმოდგენილია „ერთი ხუთიდან“ კამპანია და პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისათვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად;
- ბროშურა (A5 ფორმატი), რომელშიც წარმოდგენილია სრული ტექსტი პაქტისა ქალაქებისა და რეგიონებისათვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად;
- ლიფლეტი (A4 ფორმატი), რომელშიც წარმოდგენილია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია - ლანზაროტის კონვენცია;
- „რეგიონული კანონმდებლობა და ქმედებები ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღკვეთისათვის“ (კონგრესის რეზოლუცია და რეკომენდაციები, მიღებული 2012 წელს).

PDF

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად ქალაქებისა და რეგიონებისათვის პაქტთან დაკავშირებული დოკუმენტების PDF ფაილების ჩამოტვირთვა, პროფესიულ ფორმატში და სხვადასხვა ენებზე შესაძლებელია QR-Code Card-დან, რომელიც ერთვის კამპანიის გზამკვლევს ან ვებ გვერდიდან **www.coe.int/congress-oneinfive.**